საქმე 3ა/186-2005 ნ.

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

11 მარტი 2005ნ. ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო
საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით

თავმჯდომარე ნანა ჭანიშვილი
მოსამართლეები: ტარიელ ზამბახიძე
მიხეილ ბებიაშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად განიხილა „მწავნე ალტერნატივა"-ს მიერ 10.03.2005ნ. წარმოდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი, პირველი მოპასუხის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინიოსტროს; მეორე მოპასუხის შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი–ს (Spicapag Petrofac International ltd); მესამე მოპასუხის სს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" მიმართ. მოსარჩელე ითხოვს: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და „ინსინირატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის აღება არ არის მიჩნეული სავალდებულოდ და რომლის მიხედვითაც, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დაადგინა, რომ უნდა ეცნობოს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალ ლიმიტედს", რომ იგი უფლებამოსილია, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და „ინსინირატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობა

განახორციელოს 2002 წლის 30 ნოემბრის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის თაობაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სასამართლო კოლეგიამ არსებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოარკვია შემდეგი.

10.03.2005წ. თბილისის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მომართა მოსარჩელემ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ", პირველი მოპასუხის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს; მეორე მოპასუხის შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალის" (Spicapag Petrofac International ltd); მესამე მოპასუხის სს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" მიმართ. მოსარჩელე ითხოვს: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანება იმ ნაწილში რომლითაც საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და „ინსინირატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის აღება არ არის მიჩნეული სავალდებულოდ და რომლის მიხედვითაც, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დაადგინა, რომ უნდა ეცნობოს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალ ლიმიტედს", რომ იგი უფლებამოსილია, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და „ინსინირატორის" მეშვეობით შემდეგომი დაწვის საქმიანობა განახორციელოს 2002 წლის 30 ნოემბრის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის თაობაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ სარჩელი უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 179-ე მუხლების მოთხოვნებს და უნდა იყოს მიღებული წარმოებაში.

სასამართლო კოლეგია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გამოითხოვს დამატებით მტკიცებულებებს.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით საქმე მომზადებულია რათა მოხდეს დავის სასამართლო სხდომაზე განხილვა. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით მიიღო გადაწყვეტილება დაინიშნოს სასამართლოს მთავარი სხდომა.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 286-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მიღებული იქნას წარმოებაში მოსარჩელის ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" სარჩელი პირველი მოპასუხის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს; მეორე მოპასუხის შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალის" (Spicapag Petrofac International ltd); მესამე მოპასუხის სს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორორაციის" მიმართ.

მოსარჩელე ითხოვს: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №55 ბრძანება იმ ნაწილში რომლითაც საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და „ინსინირატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის აღება არ არის მიჩნეული სავალდებულოდ და რომლის მიხედვითაც, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დაადგინა, რომ უნდა ეცნობოს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალ ლიმიტედს", რომ იგი უფლებამოსილია, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და „ინსინირატორის" მეშვეობით შემდეგომი დაწვის საქმიანობა განახორციელოს 2002 წლის 30 ნოემბრის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის თაობაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე.

2. დაიწყოს ამ საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის შესაბამისად.

3. გადაეგზავნოს სარჩელისა და მასზე თანდართული საბუთების ასლები მოპასუხეებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლით დადგენილი წესით.

4. საქმის განხილვაში მონაწილე მოპასუხეებმა წარმოადგინონ შემდეგი მტკიცებულებები.

პირველმა მოპასუხემ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ წარმოადგინოს:

ა) სამინისტროს დებულება (ერთ პირად).

ბ) შესაგებელი წერილობითი ფორმით (სამ პირად).

მეორე მოპასუხემ შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერშეიშენალ"-მა წარმოადგინოს:

ა) საზოგადოების ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან დღეის მდგომარეობით (ერთ პირად).

ბ) საზოგადოების წესდების ასლი (ერთ პირად).

გ) შესაგებელი წერილობითი ფორმით (სამ პირად).

მესამე მოპასუხემ სს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ" წარმოადგინოს:

ა) საზოგადოების ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან დღეის მდგომარეობით (ერთ პირად).

ბ) საზოგადოების წესდების ასლი (ერთ პირად).

გ) შესაგებელი წერილობითი ფორმით (სამ პირად).

მოპასუხეებს დაევალოს გამოთხოვილი დოკუმენტაციის წარმოდგენა 4.04.2005 წლამდე.

5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად ამ საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე ჩატარდეს 04.04.2005 წლის 11^{00} საათზე. სასამართლო სხდომა ჩატარდება თბილისის საოლქო სასამართლოში (თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. 7ა), მეორე სართული, სასამართლო სხდომათა დარბაზი №1.

საქმის განხილვაში მონაწილე პირებს ეცნობოთ მთავარი სხდომის განხილვის დროისა და თარიღის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 78-ე მუხლების თანახმად.

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის წარმოდგენა არ დაიშვება.

თავმჯდომარე ნ. ჭანიშვილი

მოსამართლეები: ტ. ზამბახიძე

მ. ბებიაშვილი